მოძრაობა „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ ერთობლივად განხორციელდა პროექტი „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“, რომელიც სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში მიმდინარეობდა (დეკემბერი 2014 - მარტი 2015).

პროექტის - „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ ფარგლებში 700-მდე დევნილ ოჯახს საშობაო ნობათი გადაეცა. პროექტი ემსახურებოდა შემდეგ მიზნებს:

- საქართველოში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება
- მოხალისეობრივი კულტურის ხელშეწყობა საქართველოში
- ნდობის აღდგენა და ერთმანეთის თანადგომა

პროექტის ორგანიზებაში ჩართული იყო კავკასიის ახალგაზრდული ალიანსი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნეს-ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო პირები და სასწავლო დაწესებულებები.

პროექტი საინტერესო იყო იმითაც, რომ მასში აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა უწყების თანამშრომელი.

მოძრაობის ფარგლებში, 5 დეკემბრიდან მიმდინარეობდა სურსათ-სანოვაგისა და აუცილებელი პირველადი საშუალებების შეგროვება. აქციის ფარგლებში შემოსული პროდუქტები დაურიგდათ II მსოფლიო ომის ინვალიდებსა და ვეტერანებს, აფხაზეთის ომის I ჯგუფის ინვალიდებს, არასრულწლოვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებს, მარტოხელა დედებსა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა მშობლებს.

მოძრაობის ფარგლებში მოხალისეებად მუშაობენ აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები და სტუდენტები.

მოსახლეობისთვის საშობაო ნობათის გაცემა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შენობაში გაიმართა.

აქციის შემდეგ, მოძრაობაში **„ვიზრუნოთ ერთმანეთზე"** აქტიური ჩართულობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ ყველა ორგანიზაცია და ინდივიდუალური მონაწილე დააჯილდოვა. კავკასიის ახალგაზრდულმა ალიანსმა კი პროექტში ჩართულ ყველა მოხალისეს სერთიფიკატები გადასცა.